ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7940885

ნომერი: AR11142871

თარიღი : 14.05.2026

გაცემის თარიღი : 29.05.2026

გაცნობის თარიღი : 29.05.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა, N 22ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვალერიან ვარდანია პ/ნ 62006010822
- გალი ს. პირველი გალი

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 23 თებერვლის №7819589 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 14 მაისს №AR11142871 განცხადებით მომართა ვალერიან ვარდანიამ და მოითხოვა სამსახურის 2026 წლის 23

თებერვლის №7819589 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2026 წლის 23 თებერვლის №7819589 ბრძანებით, №01.14.06.008.290 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
სამსახურის 2026 წლის 28 აპრილის №7898031 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2026 წლის 23 თებერვლის №7819589 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საზაფხულო ფართობად დაფიქსირდა: 1114.1 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად: 1250.0 კვ.მ., დამხმარე ფართობად: 716.2 კვ.მ., საერთო ფართობად: 8498.3 კვ.მ. ამასთან, სამსახურის 2026 წლის 23 თებერვლის №7819589 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები (75-87 გვ.) ჩანაცვლდა 2026 წლის 23 აპრილის №AR11139541 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.
სამსახურის 2026 წლის 8 მაისის №7909797 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2026 წლის 23 თებერვლის №7819589 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში და ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდა: 1280.1 კვ.მ., საერთო ფართობად: 8497.4 კვ.მ. ხოლო, შეთანხმებული -3.0 ნიშნულის გეგმა (74-ე გვ.) ჩანაცვლდა 2026 წლის 1 მაისის №AR11140888 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული გეგმით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2026 წლის 23 თებერვლის №7819589 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 1250.0 კვ.მ-ის ნაცვლად არის 1238.1 კვ.მ. დამხმარე ფართობი 716.2 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 178.2 კვ.მ, საერთო ფართობი 8497.4 კვ.მ-ის ნაცვლად 7947.5 კვ.მ.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები, ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, შეთანხმებული -6.00, -3.00, +0.00 და გადახურვის გეგმები არ იცვლება, ხდება მხოლოდ აღნიშნული ნიშნულების გეგმებზე ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 23 თებერვლის №7819589 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 23 თებერვლის №7819589 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად დაფიქსირდეს 1238.1 კვ.მ. დამხმარე ფართობად - 178.2 კვ.მ, საერთო ფართობად - 7947.5 კვ.მ.
2. სამსახურის 2026 წლის 23 თებერვლის №7819589 ბრძანებით შეთანხმებული -6.00, -3.00, +0.00 და გადახურვის გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 23 თებერვლის №7819589 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 23 თებერვლის №7819589, 2026 წლის 28 აპრილის №7898031 და 2026 წლის 8 მაისის №7909797 ბრძანებებთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.